სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ, რექტორის ბრძანების (2024 წლის 28 ივნისის №170/01-01 ბრძანების) საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, აკადემიური საბჭოს (2024 წლის 9 სექტემბრის № 101 /2024) დადგენილებით დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომა

შემაჯამებელი ოქმი

ქ.თბილისი 12 სექტემბერი, 15.00 სთ., 2024 წელი

აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი: მანანა შამილიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორები: ნინო ჭალაგანიძე (თავმჯდომარის მოადგილე), მაია ტორაძე (კომისიის მდივანი), ხათუნა კაჭარავა, ზაზა ცოტნიაშვილი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი)

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრებისა და კენჭისყრის) შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, მანანა შამილიშვილის ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის ბრძანების (2024 წლის 28 ივნისის №170/01-01) საფუძველზე კონკურსი გამოცხადებული იყო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების 3 საშტატო ერთეულზე. კონკურსში მონაწილეობდა 3 კონკურსანტი - **მარი წერეთელი, ნანული ტალახაძე, ნათია კუპრაშვილი.**

კონკურსის პირველ ეტაპზე განხილულ იქნა კონკურსანტების დოკუმენტაცია.

სამივე კანდიდატს წესრიგში ჰქონდა საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც სრულად შეესაბამება ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ საკონკურსო კრიტერიუმებს.

კონკურსანტების - მარი წერეთლისა და ნათია კუპრაშვილის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმის (დანართი #4) ოთხივე კატეგორიის მიხედვით, მიეცა შეფასება - მაღალი. კონკურსანტ ნანული ტალახაძის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას სამ კატეგორიაში მიეცა შეფასება - მაღალი, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კი შეფასება - საშუალო.

კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტები: მარი წერეთელი, ნანული ტალახაძე, ნათია კუპრაშვილი გადაყვანილი იქნენ კონკურსის მეორე - გასაუბრების ეტაპზე. მარი წერეთელმა საინტერესოდ ისაუბრა პრესის თავისუფლების ისტორიულ და თანამედროვე გამოცდილებაზე. მოიყვანა შესაბამისი მაგალითები დასავლური და ქართული სამეცნიერო ნააზრევიდან. წარმოაჩინა „ანალიზისა და მოსაზრების" სასწავლო კურსის ფარგლებში პუბლიცისტურ ტექსტებზე მუშაობის სპეციფიკა. ყურადღება გაამახვილა სწავლების მეთოდიკაზე. სასემინარო და სალექციო მუშაობის სტილზე. შემდეგ კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

ნანული ტალახაძემ ისაუბრა ემიგრანტული პუბლიცისტიკის ძირითად ასპექტებზე. მან მიმოიხილა აღნიშნული თემატიკით გათვალისწინებული საკითხები. ყურადღება გაამახვილა სალექციო კურსის მიზანდასახულობასა და იმ პრობლემატიკაზე, რასაც გასული საუკუნის ემიგრანტურლი ჟურნალისტიკის შესწავლისას ეცნობა კურსის მსმენელი. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული მასალა მოიცავს ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის არაერთ მნიშვნელოვან ნიმუშს, წარმოაჩენს იმ ცხარე პოლემიკას, რაც იდეურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა შორის იყო გაჩაღებული იმდროინდელი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. ბოლოს კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

ნათია კუპრაშვილმა ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის შესწავლის მნიშვნელობაზე, მისი გამოყენების ეთიკურ მხარეზე. ამ კუთხით არსებულ პრობლემებზე. თვალსაჩინო ნიმუშების მოხმობით წარმოაჩინა ის საფრთხეები და სიკეთეები, რაც ამ ფენომენის ჟურნალისტურ საქმიანობაში გამოყენებას ახლავს. მან კომისიის წევრებს გააცნო საკუთარი გამოცდილება აღნიშნული თემის სასწავლო პროცესში ინტეგრირების მხრივ. ისაუბრა ასევე უახლოეს სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის შესახებ საუნივერსიტეტო პროექტის შექმნის საჭიროებაზე. შემდეგ კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კომისიის თავმჯდომარემ, მანანა შამილიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა (დანართი #1).

კონკურსის შედეგის დასადგენად გაიმართა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობდნენ: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი: მანანა შამილიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორები: ნინო ჭალაგანიძე (თავმჯდომარის მოადგილე), მაია ტორაძე (კომისიის მდივანი), ხათუნა კაჭარავა, ზაზა ცოტნიაშვილი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი).

ფარული კენჭისყრის შედეგები:

მარი წერეთელი - მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0

ნანული ტალახაძე - მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0

ნათია კუპრაშვილი - მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1.კონკურსანტ **მარი წერეთლის** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, კონკურსანტი მარი წერეთელი არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების კვალიფიციური მკვლევარი, რომლის ნაშრომებიც ხასიათდება სიღრმისეული განსჯით, კომპარატივისტული ძიებებით, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისა და სადღეისო პრობლემათა თეორიული ათვისებითა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, რის შედეგადაც იგი, როგორც კომპეტენტური მკვლევარი, ინტეგრირებულია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში (მისი ციტირების ინდექსია - 13, h ინდექსი -3) ასევე, მარი წერეთელი როგორც გამორჩეული პედაგოგი, დიდ ძალისხმევას ახმარს მიმართულების სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარებას.

კონკურსანტ **ნანული ტალახაძის** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, კონკურსანტი ნანული ტალახაძე არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების კვალიფიციური მკვლევარი, რომლის ნაშრომებიც ხასიათდება თემათა აქტუალურობით, მრავალმხრივობით. დიდია ნანული ტალახაძის წვლილი რადიომედიის სწავლებაში. როგორც

ამ დარგის სპეციალისტი და გამორჩეული პედაგოგი, იგი დიდ ძალისხმევას ახმარს მიმართულების პრაქტიკული სწავლებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარებას.

კონკურსანტ **ნათია კუპრაშვილის** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, კონკურსანტი ნათია კუპრაშვილი არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების კვალიფიციური მკვლევარი, რომლის ნაშრომებიც ხასიათდება თემათა აქტუალურობით, მრავალმხრივობით, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, რის შედეგადაც იგი, როგორც კომპეტენტური მკვლევარი, ინტეგრირებულია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში (მისი ციტირების ინდექსია - 19, h ინდექსი -3). აღსანიშნავია, რომ ნათია კუპრაშვილს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მიმართულებაზე ახალი მედიის სწავლების საქმეში. მისი ავტორობით შექმნილი არაერთი სასწავლო კურსი ამ სფეროს სპეციფიკას საფუძვლიანად განიხილავს და სტუდენტს აძლევს სიღრმისეულ ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასობრივი კომუნიკაციის ახალი ფორმების შესახებ.

2. კონკურსანტი **მარი წერეთელი** არჩეულ იქნას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

კონკურსანტი **ნანული ტალახაძე** არჩეულ იქნას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

კონკურსანტი **ნათია კუპრაშვილი** არჩეულ იქნას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

3. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:	მანანა შამილიშვილი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ნინო ჭალაგანიძე
კომისიის მდივანი:	მაია ტორაძე
წევრები:	ხათუნა კაჭარავა
	ზაზა ცოტნიაშვილი